TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA
Digitally signed by TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA
Date: 2023.03.20 15:27:25 +04'00'

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ხელშეკრულება # 2023 / 10 / 068
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 20 მარტი, 2023 წ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული `შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით და **სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი",** შემდგომში წოდებული `მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის, ვახტანგ ჟვანიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის **№ 2517 განკარგულებისა** და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, 2023 წლის 17 მარტის #66025/17 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 `შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 `მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.
1.8 მსმენელები – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, რომლებმაც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში უნდა გაიარონ სატრენინგო კურსი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანია, სატრენინგო კურსის ჩატარების მომსახურების **(CPV კოდი - 80511000) შესყიდვას, თემაზე: სისტემური რეგისტრაციის სასწვლო კურსი**

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი სატრენინგო კურსის აღწერილობა განისაზღვრება დანართი #1 და დანართი #2-ის მიხედვით, რომელებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი #1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) და შეადგენს ჯამში 12 302.92 (თორმეტიათას სამასორი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) 2023 წლის 20 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით - 26 მონაწილეს (სულ 2 ჯგუფი) (მისამართი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შენობა. უზრუნველყოს ჯამში - 35 საათიანი თითოეული ჯგუფისთის ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება წინამდებარე ხელშეკრულების დანართის (დანართი #1 და დანართი #2) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ქეთევან იმესაშვილი ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პირი.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ ან შესაძლო უმოკლეს ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
გ) დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გახანგრძლივების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას, რომ ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. თუ დამატებით ვადაში ან გაფრთხილების მიუხედავად მხარე არ ასრულებს ან მნიშვნელოვნად არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება სრულად დააკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით,
მისამართი: თბილისი, გორგასლის 22
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

ლანა ჯიბლაძე

მიმწოდებელი:

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი,
წარმოდგენილი დირექტორის, ვახტანგ ჟვანიას სახით,
მისამართი : თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.#1
საბანკო რეკვიზიტები : ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ბანკის კოდი: TRESGE22,
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707997153
ს/კ – 204423230

ვახტანგ ჟვანია

ხარჯთაღრიცხვა

დამკვეთი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

თარიღი:

ტრენინგის თემა: სისტემური რეგისტრაციის სასწვლო კურსი

მონაწილეთა რაოდენობა: 26 მონაწილე.

დღეების რაოდენობა: **5** დღე, 35 საათი .

ჩატარების ადგილი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შენობა.

-	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	35	25	875
2	აუდიტორიის ღირებულება	დღე	5	212	1060
3	საკანცელარო	ცალ	13	12.00	156
4	ყავა-შესვენება ჯგუფზე	დღე	5	178.5	892.5
5	ლანჩი ჯგუფზე	დღე	5	261.1	1305.5
6	სერთიფიკატი	ცალ	13	4.25	55.25
7	ჯამი				4344.25
8	ჯამი ტრენინგის ადმინისტრირების ხარჯის ჩათვლით				**5213.10**
9	დღგ18%				**938.36**
10	ჯამი				**6151.46**

11	ჯამი 2 ჯგუფისთვის	**12302.92**

ტრენინგი 1
საჯარო რეესტრის სტრუქტურა და გადაწყვეტილებათა სახეები

სამიზნე ჯგუფი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები

ტრენინგის ჩატარების ადგილი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ტრენინგის დრო: 20 მარტი, 2023 წელი

ტრენინგის ხანგრძლივობა: 7 სთ.

სერტიფიცირება: სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია, მონაწილე დაესწროს ტრენინგის ხანგრძლივობის 75%-ს.

თბილისი

2022 წელი

დღის წესრიგი

სესია	დრო	განსახილველი თემები, აქტივობები, სწავლების მეთოდები

I	10:00 – 11:30	• მოწვეული ექსპერტის მისალმება, თვითპრეზენტაცია; • კურსის თემებისა და მიზნების წარდგენა, დღის წესრიგის გაცნობა; • მონაწილეების გაცნობა და კურსთან დაკავშირებული მოლოდინების იდენტიფიკაცია კურსზე მონაწილეობის წესების გაცნობა; • პრეტესტი ; • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მისია, ცნება და ფუნქციები • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა • უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებები • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია • I სესიის შეჯამება
	11:30 – 11:50 სთ.	**შესვენება ყავა/ჩაი** 20 წუთი
II	11:50 – 13:20	• I სესიის გახსენება • სარეგისტრაციო პროცესში სააგენტოს გადაწყვეტილებების სახეები და გასაჩივრების წესი • სავარჯიშო N1 • II სესიის შეჯამება
	13:20-14:00 სთ.	**შესვენება სადილი** 40 წუთი
III	14:00 – 15:30	• II სესიის გახსენება • სარეგისტრაციო წარმოების ვადები • სავარჯიშო N2 • სავარჯიშო N3 • III სესიის შეჯამება
	15:30- 15:45 სთ.	**შესვენება** 15 წუთი
IV	15:45 – 17:00	• III სესიის გახსენება • სააგენტოს მიერ წარმოებული რეესტრები • საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი , მოვალეთა რეესტრი • რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერება • ტრეინინგის შეჯამება

იუსტიციის სასწავლო ცენტრი გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას!

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

ტრენინგი 2
მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორია და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები

სამიზნე ჯგუფი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები

ტრენინგის ჩატარების ადგილი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ტრენინგის დრო: 21 მარტი, 2023 წ.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 7 სთ.

თბილისი

2022 წელი

დღის წესრიგი

I დღე			
სესია	დრო	თემები, აქტივობები, სწავლების მეთოდები	შედეგები:

I	10:00 – 11:30 90 წთ.	- მოწვეული ექსპერტის მისალმება, თვითპრეზენტაცია; - კურსის თემებისა და მიზნების წარდგენა, დღის წესრიგის გაცნობა; - მონაწილეების გაცნობა და კურსთან დაკავშირებული მოლოდინების იდენტიფიკაცია კურსზე მონაწილეობის წესების გაცნობა; - პრეტესტი; - მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორია - მიწის რეფორმა; - სისტემური რეგისტრაციის პროექტები; - სისტემური და სპორადული რეგისტრაცია, სისტემური და სპორადული რეგისტრაციის გამიჯვნა; - სააგენტოს უფლებამოსილებები სისტემური რეგისტრაციის პროცესში; - I სესიის შეჯამება	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (1) მიწის ნაკვეთებზ საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორიის გაანალიზება; (2) სისტემური და სპორადული რეგისტრაციების გამიჯვნა.
შესვენება	11:30 - 11:50	20 წთ.	
II	11:50 - 13:20 90 წთ.	- I სესიის გახსენება - საკუთრების უფლების დამდგენი და მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები - სავარჯიშო N1 - II სესიის შეჯამება	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (3) გაეცნონ და შეისწავლონ საკუთრების უფლებისა და მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტებს გამიჯნონ ისინი ერთმანეთისგან
შესვენება	13:20 - 14:00	40 წთ.	
III	14:00 - 15:30 90 წთ.	- II სესიის გახსენება -მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები - III სესიის შეჯამება	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (4) გამოიყენონ პრაქტიკაში კონკრეტული დოკუმენტები.
შესვენება	15:30 _ 15:45	15 წთ.	
IV	15:45 - 17:00 75 წთ.	- III სესიის გახსენება - მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარეგისტრაციო დოკუმენტების ლეგალიზება - პოსტ ტესტი - **ტრეინინგის შეჯამება**	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (5) გაანალიზონ დოკუმენტების ლეგალიზების არსი, გამოიყენონ პრაქტიკაში.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას!

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ტრენინგი 3
საჯარო რეესტრის განსაკუთრებული უფლებამოსილებები

სამიზნე ჯგუფი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები

ტრენინგის ჩატარების ადგილი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ტრენინგის დრო: 22 მარტი, 2023 წელი

ტრენინგის ხანგრძლივობა: 7 სთ.

სერტიფიცირება: სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია, მონაწილე დაესწროს ტრენინგის ხანგრძლივობის 75%-ს

თბილისი

2022 წელი

დღის წესრიგი

სესია	დრო	განსახილველი თემები, აქტივობები, სწავლების მეთოდები
I	10:00 – 11:30 ს თ.	• მოწვეული ექსპერტის მისალმება, თვით პრეზენტაცია; • კურსის თემებისა და მიზნების წარდგენა, დღის წესრიგის გაცნობა; • მონაწილეების გაცნობა და კურსთან დაკავშირებული მოლოდინების იდენტიფიკაცია კურსზე მონაწილეობის წესების გაცნობა; • პრე-ტესტი;

		• უძრავ ნივთზე სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია • ინფორმაციის მოძიების ვადები და განმეორებითი წერილის საჭიროება • სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან/უფლებამოსილ პირებთან ურთიერთობა, საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს/უფლებამოსილი პირის განსაზღვრა (მუნიციპალიტეტი, არქივი, შემოსავლები, სსგს, ნოტარიუსთა პალატა და სხვა). • I სესიის შეჯამება
	11:30 – 11:50 სთ.	**შესვენება ყავა/ჩაი** 20 წუთი
II	11:50 – 13:20 ს თ.	• I სესიის გახსენება • საკუთრების უფლების აღიარება, საკანონმდებლო საფუძველი და მნიშვნელობა საკუთრების უფლების მოპოვების გზაზე • მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება • თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ცნება და კრიტერიუმები, განსხვავება სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესსა და პროცედურებში • სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება აღიარების კომისიის მიერ, აღიარების პროცედურა და კომისიის მიერ აღიარებული მიწის ნაკვეთების მნიშვნელობა სისტემური რეგისტრაციის დროს • სავარჯიშო N1 • II სესიის შეჯამება
	13:20-14:00 სთ.	**შესვენება სადილი** 40 წუთი
III	14:00 – 15:30 ს თ.	• II სესიის გახსენება • მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის/უფლების დამდგენ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა, როგორც საჯარო რეესტრის უფლებამოსილება სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში • მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრის მნიშვნელობა საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნებისთვის

		• მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრა დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით • მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით საჯარო რეესტრში დაცული და საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის ურთიერთშეჯერების მნიშვნელობა • სავარჯიშო N2 • III სესიის შეჯამება
	15:30- 15:45 სთ.	**შესვენება** 15 წუთი
IV	15:45 – 17:00 ს თ.	• **III სესიის გახსენება** • მყარი სასაზღვრო მიჯნის ცნება, მყარი სასაზღვრო მიჯნის დადგენის საშუალებები და მნიშვნელობა • სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდა 15% - ით მყარი სასაზღვრო მიჯნის ფარგლებში • საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდა მყარი სასაზღვრო მიჯნის ფარგლებში • სავარჯიშო N3 • **ტრეინინგის შეჯამება**

იუსტიციის სასწავლო ცენტრი გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას!

ტრენინგი 4
სააგენტოს უფლებამოსილებები სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში

სამიზნე ჯგუფი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები

ტრენინგის ჩატარების ადგილი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ტრენინგის დრო: 23 მარტი, 2023 წ.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 7 სთ.

თბილისი

2022 წელი

დღის წესრიგი

I დღე			
სესია	**დრო**	**თემები, აქტივობები, სწავლების მეთოდები**	**შედეგები:**
I	10:00 – 11:30 90 წთ.	- მოწვეული ექსპერტის მისალმება, თვითპრეზენტაცია; - კურსის თემებისა და მიზნების წარდგენა, დღის წესრიგის გაცნობა; -მონაწილეების გაცნობა და კურსთან დაკავშირებული მოლოდინების	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (6) სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დაადგინო დაინტერესებული პირისა დ დოკუმენტში მითითებული პირის იდენტურობა განსხვავების

		იდენტიფიკაცია კურსზე მონაწილეობის წესების გაცნობა; - პრეტესტი; - დოკუმენტის პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა და გზები (სარეგისტრაციო დოკუმენტის პირისადმი კუთვნილების ფაქტის დამდგენი კომისია); - ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები -ფორმის დაუცველად დადებული გარიგებების ფაქტის დადგენას წერილობითი შეთანხმებით, როგორც გარიგების ხელახლა დადება. - ფორმის დაუცველად დადებული გარიგებების ფაქტის დადგენას საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის/მესაკუთრის მიერ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოსარგებლისთვის გადაცემის გზით. - I სესიის შეჯამება	მიუხედავად (7) ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ დოკუმენტის პირისადმ კუთვნილების დამდგენი კომისიის შესახებ და კომისიისთვის გასაგზავნი დოკუმენტების საჭიროებაზე (8) ფორმის დაუცველად დადებული გარიგებების ფაქტის რეგისტრაციის საფუძვლად გამოყენება
შესვენება	11:30 – 11:50	20 წთ.	
II	11:50 – 13:20 90 წთ.	- I სესიის გახსენება საკადასტრო მონაცემების ზედდება სავარჯიშო N1 II სესიის შეჯამება	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (9) საკადასტრო მონაცემების ზედდების გამოვლენა
შესვენება	13:20 – 14:00	40 წთ.	
III	14:00 – 15:30 91 თ.	- II სესიის გახსენება - მედიაციის პროცესი - სავარჯიშო N2 - III სესიის შეჯამება	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (10) ჩანიშნონ სანოტარო მედიაცია
შესვენება	15:30 – 15:45	15 წთ.	

IV	15:45 – 17:00 75 წთ.	- III სესიის გახსენება - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უცხოელის უფლების რეგისტრაციის შეზღუდვა და გამონაკლისები - არასასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი - ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფცია მიწის რეგისტრაციის პროცესში - პოსტ ტესტი - **ტრეინინგის შეჯამება**	<u>მონაწილეებს შეუძლიათ:</u> (11) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზ უცხოელის უფლების რეგისტრაციის განახორციელო მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას!

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

ტრენინგი 5
სისტემური რეგისტრაციის პროცესი

სამიზნე ჯგუფი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები

ტრენინგის ჩატარების ადგილი: საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ტრენინგის დრო: 24 მარტი, 2023 წელი

ტრენინგის ხანგრძლივობა: 7 სთ.

სერტიფიცირება: სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია, მონაწილე დაესწროს ტრენინგის ხანგრძლივობის 75%-ს.

თბილისი

2022 წელი

დღის წესრიგი

სესია	დრო	განსახილველი თემები, აქტივობები, სწავლების მეთოდები

I	10:00 – 11:30	• მოწვეული ექსპერტის მისალმება, თვით პრეზენტაცია; • კურსის თემებისა და მიზნების წარდგენა, დღის წესრიგის გაცნობა; • მონაწილეების გაცნობა და კურსთან დაკავშირებული მოლოდინების იდენტიფიკაცია კურსზე მონაწილეობის წესების გაცნობა; • პრე-ტესტი ; • სისტემური რეგისტრაციის სააღრიცხვო ბარათები რეგისტრაციის პროცესში; • სისტემური სააღრიცხვო ბარათების კუთვნილების დადგენა; • სავარჯიშო N1 • I სესიის შეჯამება
	11:30 – 11:50 სთ.	**შესვენება ყავა/ჩაი** 20 წუთი
II	11:50 – 13:20	• I სესიის გახსენება • სისტემური რეგისტრაციის არეალები • სისტემური რეგისტრაციის პროცესი (5 ეტაპი) • მონაცემების პროაქტიულად და სისტემურად მოპოვება • სისტემური რეგისტრაციის არეალებზე აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები • ელექტრონული ოქმი - საველე და საოფისე ინფორმაციის სამართლებრივი დამუშავება • დაინტერესებულ პირზე/კომლზე რეგისტრირებული მონაცემების დადგენა • მოძიებული უფლების დამდგენი დოკუმენტაციის განხილვა • რეფორმამდელი საკომლო ჩანაწერების შეფასება რეგისტრაციის პროცესში • თვითნებურად დაკავებულის, საკარმიდამოს წესით და ფაქტობრივი ფლობით არსებული ფართობების ურთიერთმიმართება • II სესიის შეჯამება
	13:20-14:00 სთ.	**შესვენება სადილი** 40 წუთი
III	14:00 – 15:30	• II სესიის გახსენება • სისტემური რეგისტრაციის პროცესში დამუშავებული მონაცემების საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნება • უფლებების რეგისტრაცია • უფლება დადგენელი მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია • სავარჯიშო N3 • III სესიის შეჯამება
	15:30- 15:45 სთ.	**შესვენება** 15 წუთი

IV	15:45 – 17:00	• III სესიის გახსენება • სარეგისტრაციო ფართობების დადგენა რეგისტრაციის პროცესში (პრაქტიკული ნაწილი) • სავარჯიშო N4 • სავარჯიშო N5 • ტრეინინგის შეჯამება

იუსტიციის სასწავლო ცენტრი გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას!

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 20 მარტი, 2023 წ.

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სატრენინგო მომსახურების **(თემაზე-** სისტემური რეგისტრაციის სასწვლო კურსი **(სერთიფიცირება და ტესტირება))** შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი - ლანა ჯიბლაძე